

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის

შესახებ ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - ილია გულუა  
თანამდებობის დასახელება- კომისიის თავმჯდომარე  
ფრაქციის დასახელება — „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“  
კომისი(ებ)ის დასახელება - საფინანსო-საბიუჯეტო კომისია  
არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით)- N68 წალენჯიხის საარჩევნო ოლქი  
საანგარიშო პერიოდი - 2014 წლის 14.07 -დან 2015 წლის 20 ოქტომბრამდე.  
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) - რიგითი

1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

1. სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა - 24  
საკრებულოს სხდომებზე დასწრება - 24

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა - 19  
კომისიის სხდომებზე დასწრება - 19

3. სულ ფრაქციების სხდომების რაოდენობა - 15  
ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 14

4. საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

- ა) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;
- ბ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების თაობაზე.
- გ) „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამების თაობაზე“;
- დ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ.

5. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა:

ქ. წალენჯიხის ცენტრში უტუ მიქავას ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზაცია.

6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა - 15 და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა - 450

7. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები

ა) ქალაქის პერიფერიულ უბნებში შიდა გზების რემონტი და გარე განათების მოწყობა,

ბ) ცენტრალური ბაზრის ტერიტორიის ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა.

გ) საგზაო ნიშნების არარსებობა და შესაბამისად მოძრაობის მოუწესრიგებლობა.

8. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

განხორციელდა მუნიციპალიტეტში სტიქიით დაზარალებულთათვის გადასახური მასალის შექმნა, ბოგირების და გზების აღდგენის სამუშაოები, ქ.წალენჯიხაში სალიას ქუჩაზე სტიქიის შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სრული რეაბილიტაცია და სხვა.

**II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა**  
ვარ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე. საანგარიშო პერიოდში ჩემი თავმჯდომარეობით ჩატარდა 19 კომისიის სხდომა, კომისიის სხდომაზე განხილულ ყველა საკითხთან დაკავშირებით მომზადდა სათანადო დასკვნები, რომლებიც შემდგომ განსახილველად გადაეცა საკრებულოს ბიუროს.  
როგორც ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი მონაწილეობა მივიღე ფრაქციის მიერ ჩატარებულ თითქმის ყველა სხდომაში, ყველა პრობლემა რომელიც წამოჭრილიქნა ამომრჩევლებთან შეხვედრისას განხილულიქნა ფრაქციის სხდომაზე და მიეცა სათანადო რეაგირება.

შევსების თარიღი \_ 28.10.2015 წ.

წარდგენის თარიღი - 29.10.2015წ

ხელის მოწერა 